წლიური ანგარიში

2023

GCRT
The Georgian Center for
Psychosocial and Medical
Rehabilitation of Torture Vicitms

მენიური

მხარდაჭერის 23 წელი	1
ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერა	6
დელინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა	7
შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ პირთა მხარდაჭერა	11
მართლმსაჯულების სისტემაში ტრავმა ინფორმირებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა	14
ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	16
საგანმანათლებლო საქმიანობა	19
ციფრული ფსიქოსაგანმანათლებლო სივრცე - აისი	23
დონორები და პარტნიორები	27

მხარდაჭერის 23 წელი

“წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი - GCRT” უკვე 23 წელია ზრუნავს სასტიკი და არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლებსა და ღრმად ტრავმირებულ ადამიანებზე, მათ შორის ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალებზე, ბავშვებსა და მოზარდებზე, იძულებით ადგილნაცვალ პირებზე, უგზოუკვლოდ დაკარგული პირების ოჯახის წევრებზე, ომით დაზარალებულ ადამიანებზე.

ორგანიზაციის სარეაბილიტაციო ცენტრი თბილისში, გორსა და ქუთაისში აერთიანებს ფსიქოლოგიურ ტრავმაზე მომუშავე პროფესიონალების მულტიდისციპლინურ გუნდს. ცენტრში მუშაობს 40-მდე სპეციალისტი, მათ შორის ზოგადი პროფილის ექიმი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ბავშვთა და ზრდასრულთა ფსიქოთერაპევტი, რომელიც სერვისში მოსულ თითოეულ პირს უწევს მაღალკვალიფიციურ და მათ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მიმართულებებით.

ბენეფიციართან მუშაობის ტრაექტორია

GCRT-ში ადამიანების გადმომისამართება ხდება გარე რეფერალური სისტემის მეშვეობით.

↓

თითოეულ მათგანს ხვდება სოციალური მუშაკი და აკეთებს პირველად შეფასებას.

↓

გასაუბრების შემდეგ GCRT-ის მულტიდისციპლინური გუნდის წევრები ხვდებიან ერთმანეთს და სერვისის მიმღები პირის საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიან მხარდაჭერის/ინტერვენციის ინდივიდუალურ გეგმას.

↓

სოციალური მუშაკი სერვისის მიმღებ პირს აცნობს მისი მოვლის გეგმის დეტალებს და ინფორმირებული თანხმობის მიღების შედეგად იწყება რეაბილიტაციის პროცესი. ინდივიდის მხარდაჭერის პროცესში ერთვებიან ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრები, ზოგადი პროფილის ექიმები, ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სამედიცინო გამოკვლევებისთვის, ისინი გადამისამართდებიან რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებებში.

GCRT-ში თითოეული ადამიანის დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობაა 6 თვე. ამ პერიოდის შემდეგ ფასდება ჩარევის ეფექტურობა და სამომავლო მხარდაჭერის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ინდივიდთან შეთანხმების საფუძველზე იგეგმება დამატებითი ღონისძიებები.

2023 წლის განმავლობაში ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისით 506-მა პირმა ისარგებლა, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა თბილისის, გორისა და ქუთაისის ცენტრებზე:



მათ შორის იყო 375 ქალი, 131 კაცი:



ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, 139 მოზარდი, 316 კი ზრდასრული პირი.



2023 წლის განმავლობაში GCRT-მა ფსიქოსოციალური და სამედიცინო მხარდაჭერა გაუწია შემდეგ სამიზნე ჯგუფებს:



- გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლები (ოჯახში ძალადობა, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ა.შ.)
- იძულებით ადგილნაცვალი პირი/ტყვეობაში მყოფი/წამების მსხვერპლი
- ყოფილი პატიმარი/წამების მსხვერპლი
- დელინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი
- ?ამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან წამების მსხვერპლი
- სხვა ქვეყნებიდან ?ოლიტიკური ნიშნით დევნილი, ადამიანის უფლებათა დამცველი
- უკრაინიდან ლტოლვილი

სულ ჩატარდა 2226 კონსულტაცია:



2023 წლის განმავლობაში ჯამში 200-მა პირმა ისარგებლა გარე რეფერალური სერვისით, რომელიც არაოფიციალურად შემდეგნაირად გამოიყურება:



ძალადობის მსხვეხპლი ქალების მხარდაჭერა

GCRT მომსახურებას უწევს ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს.

ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისის მიღება შესაძლებელია როგორც თვითმომართვის, ისე სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რეფერირების გზით.

ცენტრის სოციალური მუშაკები პირველადი შეფასების შედეგად გამოკვეთილ ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ როგორც შიდა, ისე გარე სერვისის მიღების ხელშეწყობას.

შეფასების საფუძველზე სერვისის მიმღებ პირთა უმრავლესობა ერთვება:

- ფსიქოთერაპიის პროცესში;
- იღებს ფსიქიატრის კონსულტაციას ან მედიკამენტურ მკურნალობას;
- საჭიროების შემთხვევაში გარე რეფერალურ ორგანოებთან გადამისამართება, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში.

ძირითადად, გადამისამართება ხდება შემდეგი საჭიროებების მიხედვით:

- იურიდიული კონსულტაცია;
- დოკუმენტაციის მოწესრიგება;
- სოციალური დახმარება;
- სოციალურ სერვისებში ჩართვა;
- პროფესიული გადამზადების კურსები, დასაქმების პროგრამებში ჩართვის მიზნით და ა.შ.

დეიინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა

GCRT წლებია მუშაობს კანონთან კონფლიქტში, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ და დანაშაულის მოწმე/მსხვერპლ არასრულწლოვნებთან, ასევე, მათ მშობლებთან და აწვდის მაღალკვალიფიციურ მულტიდისციპლინურ ფსიქოსოციალურ და სამედიცინო სერვისს.

არასრულწლოვნებთან ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი მოიცავს როგორც ინდივიდუალურ თერაპიას, ისე ჯგუფურ მუშაობას. საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, GCRT იყენებს ექვს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ჯგუფურ სარეაბილიტაციო პროგრამას:

- ანტისოციალური ქცევის პრევენცია;
- პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა;
- ბრაზის მართვის ტრენინგი;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
- არტ-თერაპია და ბიბლიოთერაპია;
- ნაბიჯი ცვლილებისკენ.

GCRT არასრულწლოვნებს ფსიქოსოციალურ სერვისს აწვდის თბილისში, ქუთაისსა და გორში.
ორგანიზაციამ განავითარა გარე რეფერალური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ცენტრს მიიღოს ბენეფიციარები პარტნიორი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ასევე გადაამისამართოს მათთან დამატებითი სერვისის მისაღებად.

გარდა სერვისის მიწოდებისა, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, კერძოდ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტურობის ხელშეწყობისა და მონიტორინგის განვითარების მიმართულებით, ამავდროულად, ჩართულია პროგრამასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენთიფიცირების პროცესში.

დეინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა

2023 წლის განმავლობაში, პროექტის "არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ეფექტურობის გაძლიერება" ფარგლებში, რომელიც GCRT-მა გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა:

- გაკეთდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ანალიზი;
- GCRT-ის ექსპერტების მიერ შეიქმნა ორი სახელმძღვანელო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის (პროკურორი, მედიატორი, სოციალური მუშაკი), რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ მზარდებთან და ახალგაზრდებთან.

1. ქცევითი და ფსიქო-ემოციური საჭიროებების მქონე მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები

სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების პროფესიული შესაძლებლობების განვითარებასა და ეფექტურ მუშაობას.

დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის 12 თანამშრომლისთვის ჩატარდა ორ დღიანი ტრენინგი თემაზე: "ქცევითი და ფსიქო-ემოციური საჭიროებების მქონე მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები".

2. ინტერვიზია, კოლეგათა ურთიერთკონსულტირება

წარმოდგენილი მეთოდის მიზანია კოლეგათა შორის ისეთი თანამშრომლობის მიღწევა, რომელიც ორიენტირებული იქნება სამუშაო ამოცანების განხორციელებაზე, შედეგიანობაზე და ზოგადად ყოველდღიური სამუშაოს ოპტიმიზებაზე.

დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფსიქოლოგებისთვის, სოციალური მუშაკებისა და სარეაბილიტაციო განყოფილების ხელმძღვანელებისთვის ჩატარდა სამი ორდღიანი ტრენინგი თემაზე "ინტერვიზია, კოლეგათა ურთიერთკონსულტირება". ტრენინგს დაესწრო სულ 59 მონაწილე.

დეტინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა

პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება აღდგენისუნარიანობისა და უსაფრთხოებისთვის (CiSSCo)" ფარგლებში, რომელსაც ფონდი "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი" GCRT-თან თანამშრომლობით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს, 2023 წლის განმავლობაში:

- GCRT-მა ჩაატარა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს (Atipfund Georgia) საჭიროებების ანალიზი, რომლის საფუძველზეც მოამზადა მოდული, სახელწოდებით:

  "კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მუშაობის თავისებურებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის."

  GCRT-მა ჩაატარა ტრენერთა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 15 სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და სუპერვიზორი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

დელინქვენტური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობა

2023 წლის მაისიდან ხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანია გორის მუნიციპალიტეტის 17 მუნიციპალური ერთეულის მაცხოვრებლებთან, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 20 საინფორმაციო შეხვედრა, მონაწილეობა მიიღო 300-მდე მოქალაქემ.

შეხვედრები ჩატარდა შემდეგ თემებზე:

- რა არის პოზიტიური მშობლობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, აღდგენითი მართლმსაჯულება;
- რთული ქცევის მართვა მოზარდებში.

2023 წლის განმავლობაში GCRT-ის ქუთაისის ოფისმა ჩაატარა 5 საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებელებთან და მშობლებთან ქუთაისის ოთხ სკოლაში.

შეხვედრებზე განხილული იყო შემდეგი თემები:

- ბულინგის პრევენცია;
- მოზარდობის ასაკის თავისებურებები და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

შეხვედრებს 200-მდე მონაწილე დაესწრო.

ამავე პერიოდში ჩატარდა 2 ორდღიანი ტრენინგი პოზიტიურ მშობლობაზე, რომელსაც ჯამში 30 მონაწილემდე ესწრებოდა.

შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ პირთა მხარდაჭერა

2023 წელს GCRT-მა დაიწყო პროექტის "ეფექტური ფსიქოლოგიური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შიდა ქართლში 2008 წლის კონფლიქტის მსხვერპლთათვის" განხორციელება, რომელიც დაფინანსებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) მიერ.

პროექტის მიზანია ფსიქოსოციალურ და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივების წახალისება შიდა ქართლში, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირებისთვის.

რუსეთის მიერ მიმდინარე "ბორდერიზაცია" და საოკუპაციო ხაზთან უკანონო დაკავებები საქართველოსთვის ყოველდღიურ ზეწოლად რჩება.
მიმდებარე სოფლებიდან პირების გატაცება და ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცების მუდმივი შიში 2023 წელს კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

2023 წლის განმავლობაში პროექტში ჩართული იყო ომით დაზარალებული 532 პირი.

ფსიქოსოციალური, სამედიცინო მომსახურებითა და ჯგუფური თერაპიით ისარგებლა ჯამში 156-მა პირმა, რომელიც პროცენტულად შემდეგნაირად არის გადანაწილებული:



შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ პირთა მხარდაჭერა

დაფინანსდა **11** ბიზნეს იდეა, რომელიც მოიცავს ისეთ სექტორებს, როგორიცაა:

- სასათბურე მეურნეობა, მესაქონლეობა, სამკერვალო სტუდიები,
- სილამაზის ცენტრები, ტექნიკით უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობისთვის,
- ჩირის წარმოება, ყვავილებისა და ნერგების სათბურები,
- ყველისა და კარაქის წარმოება, მეფუტკრეობა, ვაშლის ბაღების გაშენება.



ჩატარდა **15** ტრენინგი თემის ლიდერებისთვის შიდა ქართლში, რომელიც ეხებოდა ლიდერის უნარების გაძლიერებას, სტრატეგიული ბიზნეს პროექტების შექმნას, ციფრულ წიგნიერებას, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ძალადობის ადრეული ნიშნების ამოცნობას, სექსუალურ ძალადობასა და პოზიტიურ მშობლობას.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო თემის 20-მა ღიდეამ.

შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ პირთა მხარდაჭერა

ჩატარდა **30** საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც ფოკუსირებული იყო შემდეგ თემებზე:

- რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- ქალთა უფლებები და ძალადობის სხვადასხვა ფორმა.

შეხვედრას ატარებდა პროექტის მულტიდისციპლინური მობილური გუნდი (ფსიქოთერაპევტი, ფსიქოლოგი, რეპროდუქტოლოგი, იურისტი).

შეხვედრებში მონაწილეობდა 227 ადამიანი.

42-მა მოზარდმა კი მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციულ საზღვრებთან შემოქმედებით სამუშაო შეხვედრებში.

მართლმსაჯულების სისტემაში ტრავმა ინფორმირებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა

მართლმსაჯულების სისტემაში ტრავმა ინფორმირებული მიდგომა გულისხმობს საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო პროცესების იმგვარ წარმართვას, რომ პროფესიონალებმა გაითვალისწინონ მსხვერპლის ტრავმული გამოცდილება და არ მოხდეს მისი რეტრავმატიზაცია.

მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, GCRT აქტიურად მუშაობს და ადვოკატირებას უწევს სახელმწიფო სტრუქტურებში ტრავმა ინფორმირებული მიდგომების დანერგვას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დროს.

ინიციატივა ხელს უწყობს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიებასა და მსხვერპლებთან კომუნიკაციას, რომ პროფესიონალებმა გაითვალისწინონ:

- ძალადობასთან დაკავშირებული მითებისა და სტერეოტიპების ზეგავლენა მთლიანად მართლმსაჯულების და მსხვერპლთა მომსახურების პროცესზე;
- გაიაზრონ სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომელიც მძიმე ტრავმის კვალია მათ ფსიქიკაზე და კავშირშია იმ ნეირობიოლოგიურ ცვლილებებთან, რომელსაც ამ ტიპის ძალადობა იწვევს.

გარდა ამისა, გამოძიების პროცესში ჩართულ პირებს ფსიქოლოგიური ტრავმის ბუნების ცოდნა ეხმარება მსხვერპლისადმი ემპათიის შენარჩუნებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პოლიციისადმი ნდობის ჩამოყალიბებას.

ტრავმა ინფორმირებული მიდგომების დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში მიზნად ისახავს არა მარტო დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას, არამედ გამოძიების პროცესში დაკითხვა-გამოკითხვის პროცედურას მთლიანად ორიენტირებულს ხდის მსხვერპლის საჭიროებებზე.

2023 წლის განმავლობაში GCRT-ის კლინიკურმა ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა არა მხოლოდ სარეაბილიტაციო მომსახურება გაუწიეს ძალადობაგანცდილ ქალებსა და ბავშვებს, არამედ მონაწილეობა მიიღეს საგამოძიებო პროცედურებში, დაესწრნენ გამოკითხვის პროცესს, სასამართლოს მიაწოდეს ინფორმაცია მსხვერპლის ფსიქოემოციური მდგომარეობის შესახებ, მონაწილეობდნენ სასამართლო სხდომებში, მოწმის ან ექსპერტის სტატუსით.

მართლმსაჯულების სისტემაში ტრავმა ინფორმირებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა

2023 წელს ორგანიზაციამ ჰოლანდიელ ექსპერტებთან თანამშრომლობითა და მათი მხარდაჭერით შეიმუშავა ძალადობის გამოცდილების მქონე ადამიანების ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასების პროტოკოლი, სადაც განისაზღვრა სასამართლოსთვის დასკვნის მომზადების პროცედურები, სტრუქტურა, ასევე, კლინიკური ინფორმაციის შეგროვების მეთოდოლოგია, რაც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ქალებისთვის, რათა გააძლიეროს აღსრულება და ანგარიშვალდებულება გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.

2023 წელს GCRT-მა სასამართლოს წარუდგინა სუდ 15 ფსიქოლოგიური შეფასების ანგარიში. ორგანიზაცია ერთადერთია ქვეყანაში, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფ აღტერნატიულ ანგარიშებს.

GCRT-მა შეიმუშავა ტრენინგ მოდული "ტრავმა ინფორმირებული მიდგომა სქესობრივი დანაშაულების გამოძიების პროცესში" ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცავი ორგანოების გამომძიებლების გასაძლიერებლად.

2023 წელს ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 16 გამომძიებელი დაესწრო. შეხვედრა მიზნად ისახავდა სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებას, უზრუნველყონ ეფექტური, მსხვერპლზე ორიენტირებული რეაგირება სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოძიების პროცესში.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

GCRT წლებია მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის ჩართულობას მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე.

მაკრო დონე

მაკრო დონეზე საქმიანობა მიმართულია საქართველოს კანონმდებლობის დახვეწასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისკენ.

მეზო დონე

მეზო დონე მიმართულია ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციაზე.

მიკრო დონე

მიკრო დონე უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებასა და მათ გაძლიერებას.

2023 წელს GCRT პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს "ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა საქართველოში".

პარტნიორი ორგანიზაციები არიან:

საფარი SAPARI

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

WISG

მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება
SOCIETY OF DEMOCRATIC WOMEN OF MARNEULI

პროექტი ყურადღებას ამახვილებს ქალებსა და გოგონებზე, რომლებიც არიან გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები. GCRT თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან/ საინიციატივო ჯგუფებთან მთელი საქართველოს მასშტაბით.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

2023 წლის ძირითადი მიღწევების შეჯამება:

- კანონპროექტის შემუშავება და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის წარდგენა;
- ადამიანის უფლებათა სტრატეგიის გადახედვა, რომ მოიცავდეს ლგბტქ+ საკითხებს;
- ჩატარდა კომერციული სექს მუშაკების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საჭიროებების კვლევა, ითარგმნა ტრანსგენდერ ადამიანებზე ზრუნვის სტანდარტები;
- შემუშავდა ტრენინგ მოდული „ტრავმა ინფორმირებული მიდგომა სქესობრივი დანაშაულების გამოძიების პროცესში“;
- ითარგმნა ტრავმა ინფორმირებული ინტერვიუს ტექნიკის სახელმძღვანელო პრინციპები;
- კვალიფიკაცია აუმაღლდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 32 გამომძიებელს.

ინფორმირებულობა და პრევენცია:

- 2023 წლის განმავლობაში ადგილობრივი სსო-ებისა და მუნიციპალიტეტებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 23 ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ ფორმატში. შეხვედრები მიზნად ისახავდა რეგიონული სსო-ებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგებსა და შეხვედრებს დაესწრო საქართველოს მასშტაბით ადგილობრივი სსო-ებისა და მუნიციპალიტეტების 290 წარმომადგენელი.
- ცნობიერების ასამაღლებელი კაპანიებისა და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება წამყვანი, თანააპლიკანტი და ქვე-გრანტის მიმღები ორგანიზაციების მიერ, რომელიც ჯამში 1826 გოგონასა და ქალს მიწვდა.
- ჩატარდა ქვე-გრანტის მიმღები 6 ორგანიზაციის მობილიზატორებისა და ფსიქოლოგების ტრენინგები, რომელსაც დაესწრო 25 წარმომადგენელი.
- გენდერული თანასწორობის ადგილობრივ საბჭოებსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის მდგრადობისთვის, 2023 წლის განმავლობაში 5 თანამშრომლობის მემორანდუმი დაიდო.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა

მრავალსექტორული სერვისებზე ხელმისაწვდომობა:

- გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი და ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა;
- ხელმისაწვდომობის გაზრდა მობილური ჯგუფებისა და ციფრული კლინიკის სერვისების მეშვეობით.

6-მა

ქალთა საკითხებზე მომუშავე რეგიონულმა ორგანიზაციამ, აჭარაში, შიდა ქართლში, გურიაში, კახეთში, იმერეთსა და ზუგდიდში, მიიღო დაფინანსება მცირე საგრანტო კონკურსის ფარგლებში. ორგანიზაციები მიზნად ისახავენ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ძალადობის პრევენციის ადვოკატირების მექანიზმების შემუშავებით, საინფორმაციო მასალების მომზადებით, ქალთა მხარდამჭერი სივრცის შექმნითა და არსებულ სერვისებზე ინფორმირებულობის გაზრდით.

საგანმანათლებლო საქმიანობა

GCRT, გარდა სერვისის მიწოდებისა, აქტიურად მუშაობს ფსიქოტრავმატოლოგიის, როგორც დარგის განვითარებაში, ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, ვებინარებისა და ლექციების ფორმატში, ქმნის პუბლიკაციებსა და მულტიმედია მასალას სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

ამავდროულად ეხმარება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ისე საერთაშორისო პარტნიორებსა და კოლეგებს, ინოვაციური მიდგომების გამოყენებით სერვისების დანერგვასა და განვითარებაში.

2023 წელს ჩატარდა

28 ტრენინგი

რომლებიც ეხება ქალთა უფლებებისა და ჯანმრთელობის საკითხებს, ემსახურება გენდერულად სენსიტიური საკითხების მიმართ ცნობიერების გაზრდას ან/და ადვოკატირებას, პოზიტიურ მშობლობას, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებსა და მათ საჭიროებებს.

საგანმანათლებლო საქმიანობა

2023 წელს ჩატარდა

63 საინფორმაციო შეხვედრა

რომლებიც ეხება ქალთა უფლებებისა და ჯანმრთელობის საკითხებს, ემსახურება გენდერულად სენსიტიური საკითხების მიმართ ცნობიერების გაზრდას ან/და ადვოკატირებას, ასევე, პოზიტიური მშობლობის, მოზარდობის ასაკის თავისებურებების, ბულინგის პრევენციის, რთული ქცევის მართვის საკითხებს და ა.შ.

6 Facebook Live



რომლებიც ეხება ქალთა უფლებებისა და ჯანმრთელობის საკითხებს, ემსახურება გენდერულად სენსიტიური საკითხების მიმართ ცნობიერების გაზრდას ან/და ადვოკატირებას.

საგანმანათლებლო საქმიანობა

2023 წელს შეიქმნა

5 სახელმძღვანელო

მოიცავს სატრენინგო მოდულებსა და საინფორმაციო ბროშურებს. მათ შორის არის ტრავმა ინფორმირებული მიდგომა სექსობრივი დანაშაულების გამოძიების პროცესში, ქცევითი და ფსიქოემოციური საჭიროებების მქონე მოზარდებთან მუშაობის თავისებურებები და სხვა.

1 კვლევა

ჩატარდა კომერციული სექს მუშაკების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საჭიროებების კვლევა, ასევე, ითარგმნა ტრანსგენდერ ადამიანებზე ზრუნვის სტანდარტები.

საგანმანათლებლო საქმიანობა

2023 წელს შეიქმნა

6 ვიდეო ბლოგი

რომელიც ემსახურება ქალთა საინფორმაციო გაძლიერებას ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევების შესახებ. კამპანიის ფარგლებში ქალები და გოგოები აზიარებენ საკუთარ გამოცდილებებს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მასთან გამკლავების გზების შესახებ.

41 მულტიმედია მასალა



რომლის ძირითად სამიზნე აუდიტორიას ახალგაზრდა გოგოები და ქალები წარმოადგენენ.
ვიდეოები ემსახურება გენდერულად სენსიტიური საკითხების მიმართ ცნობიერების გაზრდას. მულტიმედია მასალები მომზადებულია როგორც მხოლოდ GCRT-ის ბაზაზე, ისე Grlzwave-თან და ინფლუენსერებთან თანამშრომლობით.

ა ი ს ი

2022 წელს ორგანიზაციამ ახალი სტრატეგიული მიმართულება დაამატა თავის საქმიანობას და შექმნა ციფრული ფსიქოსაგანმანათლებლო სივრცე - აისი, რომლის მთავარ მიზანს საზოგადოებაში მტკიცებულებებსა და უახლეს კვლევებზე დაფუძნებული, სანდო ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს. აისს ზურგს უმაგრებს როგორც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ახალგაზრდა პროფესიონალები.

2023 წელს

შეიქმნა ციფრული ფსიქოსაგანმანთლებლო სივრცის - აისი - ვებ-გვერდი, რომელიც აერთიანებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ინფორმაციას უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის

www.aisi.blog



მომზადდა

44 საინფორმაციო ბარათი

19 ფსიქოსაგანმანათლებლო ვიდეო

21 ბლოგი

შეიქმნა

პირველი

ინოვაციური ფსიქოსაგანმანათლებლო ონლაინ კურსი უფლებადამცველებისთვის

მედეგობა, საკუთარ თავზე ზრუნვა და უფროფესიონალიზაცია

ციფრული კურსის მიზანია, ხელი შეუწყოს უფლებადაცვით სფეროში ჩართულ ადამიანებს საკუთარი ფსიქიკური თუ ემოციური მდგომარეობის გაცნობიერებაში, მათ მართვაში, მედეგობის გაღვივებაში, მადლიერების განცდისა და საზრისის შემცველი ურთიერთობების შენებაში. კურსის გავლის პარალელურად ეწყობა დახურული შეხვედრები პროფესიონალებთან, სადაც უსაფრთხო და დაცულ გარემოში უფლებადამცველებს ეძლევათ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მოისმინონ პასუხები პროფესიონალებისგან.

აისი x მთავარი არხი

2023 წლის სექტემბერში მთავარი არხის ინიციატივით, დაიწყო აისის რუბრიკა მთავარი არხზე, “შენი დილის” ეთერში.

ყოველ შაბათს, მთავარი არხის დილის ეთერში, აისის გუნდის წევრები საუბრობენ იმ თემებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფსიქიკური კეთილდღეობისა და უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.

ოთხი თვის განმავლობაში აისმა უმასპინძლა **17** გადაცემას

aisi.blog | AISI | აისი | aisi.blog | @aisiblog

GCRT მადლობას უხდის დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებს, რომელთა დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზაციის მუშაობა.

დონორები

ევროკავშირი საქართველოსთვის

SIGRID RAUSING TRUST

unicef for every child

United Nations Human Rights

HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION

UNITED STATES EMBASSY TBILISI

პარტნიორები

საფარი SAPARI

GLOBAL INITIATIVE ON PSYCHIATRY

ქალთა ფონდი საქართველოში WOMEN'S FUND IN GEORGIA

WISG

SOCIETY OF DEMOCRATIC WOMEN OF MARNEULI

SAIA GYLA Georgian Young Lawyers' Association

სოციალური სამართლიანობა ცენტრი

ინდიგო

irct International Rehabilitation Council for Torture Victims

HUMAN RIGHTS HOUSE TBILISI

დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო